ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

ქრთამი ჯოჯოხეთს ანაღდებს!..

19

1980

ვახტანგ ახვლედიანი

მექრთამის მონოლოგი

მ ე?!
მე რომ მკითხონ?! —
ყველა ბღენ-ძი-ას,
ყველა ინ-ტრი-განს
და პა-ტი-ო-სანს
გამოვუთხრიდი
ძ ი რ ს!
რადგან მათ გამო,
მათ გამო რადგან,
ამოსუნთქვაც კი
ჭ ი რ ს!

ცხოვრების ნირი,
ს ი კ ე თ ე,
გ ე მ ო,
განა იციან მათ?
ცხოვრებას უნდა
წ ა გ ლ ი ჯ ო,
ჭ ა მ ო!
კაცი ასეთი მწამს.

მ ე ქ რ თ ა მ ი ს
დ ა მ ყ ვ ა
დ ი დ ი
უ ნ ა რ ი!
სივრცე ხომ უნდა ნიჭს?!
მომეცით სივრცე,
სივრცე მომეცით!
და მე
გაჩვენებთ ბიჭს!

ი მ,
იმ ბღენძიებს
ძელს გავაკრავდი,
მივაბრძანებდი
იქ!
არც თვითონ ჭამენ,
არც შენ გაჭმევენ,
ერთი, მე მაგათ
ცხ ვ ი რ ს!..

მ ე?!
მე რომ მკითხონ?
მე რას ვიზამდი?
მ ა გ რ ა მ,
ვინ მკითხავს,
ვ ი ნ?!.

დათვალიერება

ჭიმლა, კვირიწმინდა, კალოთანა, ღორღუ, მალოზანა, ოხერხევი, საბერწე, ფაფარენა, გარბანი, უკანახო, აჭეხა, მაღრანი, ხორიელა, ღელე, ზენდათვისი, ლებაისკარი, ზეზეიჯე, გურო, სადუცე, ორწყალა, ხორუ, ჭეჭყეთი, აცეხი, მიცუსჭალა, ზენხახაბო, წუქიო...

ეს ტოპონიმები თუ გაგიგონია, მკითხველო? ხევსურული სოფლების სახელებია, იმ სოფლებისა, ოდესღაც რომ არსებობდა, შემდეგ დაცარიელდა და დღეს ნასოფლარად რომ იწოდება. სხვა სოფლებიც არის ამ მდგომარეობაში, ოღონდ ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

უყვარს ხევსურს თავისი მიწა-წყალი, მაგრამ ჰაინცბარში წამოვიდა მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა. თუ რაოდენ ვერ ეგუებიან ღვიძლი სოფლების დაცარიელებას, იქიდანა ჩანს, რომ ძ ე ძ ე ურ თ ა ს ისევ სოფლად იხსენიებენ, თუმცა იქ ორად ორი კაცი ცხოვრობს — ღრმად მოხუცი ცოლ-ქმარი. სანამ ეს ორი ადამიანი მაინც დაჩოჩავს ძეძეურთაში, არ უნდათ მას ნასოფლარი დაარქვან!..

არ არის იოლი, საერთოდ, ხევსურეთის სოფლებში ცხოვრება! ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამაზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. ოღონდ ერთი კითხვა მინდა დავსვა — რა მოხდა, რატომ ვუყურებთ ჩვენსავე მიწა-წყალს უცხოელი ტურისტის თვალით?

ახლახან ათი ჰშვენიერი სახლი აშენდა გ უ დ ა ნ შ ი. რაც მართალია მართალია, ჭეშმარიტად კარგი და ლამაზი. მაგრამ ნათქვამია, მადლი ჰქმენ და მარილიც მოაყარეო! სამწუხაროდ, ეს მადლი აკლია ამ სახლებს.

ჯერ ერთი, ათიდან ერთი სახლი „ხატის ადგილზეა“ აშენებული და შიგ ხევსური არ შეაბ. როცა კეთილ საქმეს აკეთებ, ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. მათ შორის, ადგილობრივი ზნე და ჩვეულება! ყველაფერ ამას ჰატივისცემა უნდა!

მეორეც, გუდანში კი არა, ბევრ ქალაქშია მოუგვარებელი კანალიზაცია და როგორ მოიხსნიან გუდანელებმა იმ სახლებში მოწყობილი აბაზანები და ტუალეტი? ჰოდა, რაკი დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ ამ „კეთილმოწყობილ“ აბაზანებსა და ტუალეტებს ბაგად გამოიყენეს. შიგ თივა ყრია, საქონელია დაბმული და არხეინად იცოხნება. როცა ამგვარი სახლები იგივემებოდა უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ად კ ა ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ზ ე ც უნდა ეფიქრათ!“

მესამეც, გუდანი მწირი სოფელია. ადამიანს მარტო სახლი ხომ არ სჭირდება?! გუდანში სათიბიც ცოტაა, ქერიც ნაკლებად მოდის, არც კარტოფილია უხვად. იქნებ სჯობდა, ასეთი სახლები უფრო მოსავლიან სოფელში აგვეშენებინა?

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, იმ სახლების დამგეგმავი და ამგებთ მაინც დიდი მადლობა ეკუთვნით, რამეოუ კარგია, როცა ზრუნვა პრაქტიკული საქმით არის გამოხატული.

ზაფხულობით ბარისახოში უამრავი ხალხია — ტურისტები, მწყემსები, საქმიანი თუ უსაქმო მოგზაურები... მაგრამ ღამის გათევა ჭირს. ის პაწია, ძველი შენობა, რომელიც სასტუმროდ იწოდება, გაჭირვებით 10-12 კაცს თუ დაიტევს. დანარჩენი ხალხი კი ღია ცის ქვეშ ათევს ღამეს. რა მოხდა, რატომ გაგვიჭირდა ბარისახოში ერთი წესიერი სასტუმროს აშენება? კარგი, ბატონო, ხელისუფლებას სხვა მრავალი საჭირბოროტო პრობლემა აქვს გადასაწყვეტი და ამ საკითხს ვერ მიხედა. ჩვენ რას ვაკეთებთ? ხომ ვარო ჩვენ ჩვენი ქვეყნის

კმაარა?

პატრონი? ნუთუ საქართველოს მდიდარ სოფლებს არ შეუძლიათ ცოტ-ცოტა თანხა, ცოტ-ცოტა სამშენებლო მასალა გადადონ და საკუთარი ინიციატივით ბარისახოში ერთი კარგი სასტუმრო ააგონ? ჰაი, ჰაი, რომ ძალუძთ!

ამას წინათ ერთი ნაცნობი მიამბობდა: გურიაში, სოფელში ვიყავი, ქორწილში ვსტუმრობდიო. თურქე ათასი კაცი ყოფილა მიპატიჟებული. სუფრა რად ოფიცირებული იყო და თამადა მიკროფონით ლაპარაკობდა!.. ნათურები ხეებს მსხლებივით ესხა და ყველაფერი ჩირაღდანივით ბდღვრიალებდა. პირდაღებულმა ვკითხე, რა დაუჯდებოდა-მეთქი ეს ქორწილი? მიპასუხა, 60 ათასი მანეთიო. თან დააყოლა: კი, ძალიან ძვირი დაუჯდა, მაგრამ შეშისავალს არ იკითხავო? 120.000 მანეთი შემოუვიდა, ქორწილის ხარჯიც გაისტუმრა და ნახევარი კიდევ მოგებად დარჩაო.

დავიჯერო, ეს ადამიანები, რომელნიც ასე ხელგაშლილი ნადიმობენ, უარს იტყვიან ნებაყოფლობით გაიღონ ფული ბარისახოს სასტუმროს ასაშენებლად? დარწმუნებული ვარ, არავინ დაიხევს უკან. ჰოდა, გურიაში გადახდილი სამი ქორწილის თანხა, ბარისახოს სასტუმროს კი არა, ვერსალს ააშენებს, ოღონდ ადამიანებს მადლის ქმნა უნდა ვასწავლოთ, ღრმად გავაგებინოთ ანდაზის სიბრძნე— მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდება!

ხევსურეთის სხვა სოფლებზე არაფერს ვამბობ, ბარისახოც კი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ მოსახურებას. თუმცა არის ერთი შენობა, რომელშიც მოთავსებულია სასოფლო საბჭოც, ბიბლიოთეკაც, შემნახველი სალაროც და... კულტურის სახლიც. აქ შეუძლებელია რაიმე კულტურული ღონისძიების ჩატარება, რამეთუ არ გააჩნია არაფერი ამისათვის აუცილებელი. ხანდახან ფილმებს აჩვენებენ, მაგრამ, ვაი ამ ჩვენებას! — ფილმს აღარც გამოსახულება აქვს შერჩენილი და აღარც ხმა, იმდენად ძველია. არც ამ „კულტურის“ სახლის კინოსადემონსტრაციო აპარატურა ვარგა.

ნუთუ ამ „კულტურის“ სახლის ოდნავ უკეთ მოწყობა არ შეიძლება?

ზაფხულობით ვის არ შეეყრებით ხევსურეთში! თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობასაც მრავლად ნახავთ. თუ ჰკითხავთ, რას აკეთებთო, ხევსურეთს ვათვალიერებთო, გიპასუხებენ, თან აღტაცებით დაუმატებენ: რა დიდებულია, არა?!.

ექიმებიც შეგხვდებათ. ისინიც გაბრწყინებული თვალებით მისჩერებიან ყველაფერს, მაგრამ პრაქტიკულ დახმარებას თუ მოსთხოვ, აღმოჩნდება, რომ ექიმებს წნევის გამზომი აპარატიც კი არ წამოუღიათ. ისინიც მხოლოდ ათვალიერებენ და იმიტომ.

მთელი სოფელი აღტაცებული შეხვდა ისტორიის მეცნიერებათა ერთ დოქტორს. ეგონათ, ლექციებს მაინც წაგვიკითხავს, ახალ მოვლენებზე გვესაუბრებაო. გაგიგონიათ? ხინკალს მიირთმევდა მადიანად და თან მასპინძლებს ეჭრაბახებოდა: „ვატიკანი გაგიგონიათ? ერთადერთი ქართველი ვარ, რომელიც ვატიკანში ვიყავიო! რას იზამდა, ისიც დასათვალიერებლად იყო ჩამოსული!..

ყველაზე სამწუხარო ის იყო ჩემთვის, რომ მეც დასათვალიერებლად ვიყავი ჩასული.

კარგია დათვალიერება. მართლაც დიდებული და თვალწარმტაცი სანახაობაა, რაც ბუნებას შეუქმნია, ოღონდ ყველაფერს ადამიანის ხელიც უნდა დავატყოთ!

ამან დამაფიქრა და მტკივნეული კითხვა გაჩინა — სანამდე უნდა ვათვალიეროთ ჩვენივე მამული?!

აკაკი ბაქრაძე

ნახ. ბ. აბაშიძისა

— ნემსი და ძაფი მოგვიტანე, რომ დაგიკერო?!
— არც ერთ მაღაზიაში არ იყო, წვრილმანი საქონელს არ ვიღებთო, მითხრეს!

სიდედრის ოქვა

�eli marcvali

არ ვიცი, ხალხნო, თავს როგორ ვუშველო,
რა მოვაგვარო და როგორ:
ძლივს ღმერთმა გადმომხედა, მეღირსა სასიძო
და ძლივს გავათხოვე გოგო!..

გავათხოვე გოგო და სიძეს გავატანე
ცარიელი, ესე იგი, უმზითვო!..
სიძემ არა თქვა რა, ვენაცვალე!
აბა, რას იტყოდა? აიტანა უსიტყვოდ!..

სიძემ რა უნდა თქვას, სიძე ჩვენია,
მე მძახლებისა მრცხვენია!..
ამბობენ, მზითევი ასი წლისაო
ესე იგი, ას წელს უნდა აგროვო!

მე კი: რად მინდა, ვფიქრობდი,
მზითვი წინასწარ დავაგროვო?!
ვაითუ, ვერ ვიშოვო სასიძო?!
ვაი თუ, გამიუქმდეს სამზითვო?!

ვაი თუ, ვიწვნიო-მეთქი ზარალი?!
(კაი სიძის შოვნა ადვილი არ არი!)

გავალ-მეთქი, ვფიქრობდი,
ერთ დღეში ვიყიდი ყველაფერს!
როგორ ვიფიქრებდი, გავიდოდი და
ვერ ვიშოვიდი ვერაფერს?!

მაკრატელი, ნემსი და ძაფი არ იყო!..
ზეწარი, ფეხიჩითი, ნაალისპირი არ იყო!..
სუფრა, პირსახოცი, საპერანგე და სხვა „წვრილმანი“ არ
იყო!..
რა ვქნა, რა ვუყო ჩემს საწყალ მარიკოს?!

წავალ, ვიპოვი გადამყიდველს სადმე,
მაღაზიის კუთხეში,
მივცემ ყველაფერში ხუთმაგს და
და ყველაფერს მიშოვის ხუთ დღეში!..

მეფოობელო, არ გრცხვენია?!

... ძნელაძის ქუჩის კუთხეში ბოძს მიყოფდებული მაკლერი თვალმინაბული უსმენს ახალგაზრდა ქალს, რომელიც შეუსვენებლად ეკითხებს:

— ბინა ცენტრში უნდა იყოს! ფანჯრები — განიერი და მკერივი!..

— ფანჯრები გამოიცვლება! შემდეგ?

— სართული მეშვიდე ან მერვე! იატაკი — სწორი და გარანდული!..

— იატაკი შესწორდება! მერე?

— ჭერი — მაღალი! ოთახები

— ფართო და ნათელი!..

— ოთახებსაც მოვლება! სხვა? სხვას რას ისურვებდი?

— მეტი რაღა გითხრა?

— მთავარი დაგაინტერესდა, ქალბატონო! მეზობელი! მეზობელი როგორი გეყოლება, არ გაინტერესებს?

მართალს ამბობდა მაკლერი: მრუდე მეზობლის ბანერწარება ძნელი, თორემ მრუდე იატაკის განსწორებას რა უნდა? ვინ მოთვლის, „ნიანგის“ რედაქციაში რამდენი განცხადება შემოდის, რამდენი ქალაღი ინარჯება, რამდენი დრო, რამდენი ნერვები!.. მეზობელო, მზის სხივზე აღრე დასანახავაო, უთქვამს ჩვენს ხალხს და ვაი იმას, ვისი ღღეც მეზობლის ჩხუბითა და აყალმაყალით იწყებას!..

ნინა სიმონის ასული ქათამაძე თბილისში, კანდელაკის ქუჩის №3 სახლში 1955 წელს შესახლდა და 1959 წლიდან ისეთ ქარიშხალს ატრიალებს ეს ხანდაზმული დისახლისი ამ ექვსსართულიან სახლში, რომ იგი ღღეშდე არ დამცხრალა! „ჩემი ბინის ხელში ჩაგდება უნდათ!“, „პარტიის ხაზით დასჯის ღირსია ნ. კ-ძე!“, „სიძეს ავალებს, მოკალი ქათამაძეო! ამ ხულიგნურ მოქმედებაში ნათელოჩას ხელს უწყობს საზოგადოების თავჯდომარე ე.ზ-ვა, ყველა ორგანოში ის უწევს დახმარებას და ისიც ხულიგნურად ტელეფონით მირეკავს. განა სნორია ე. ზ-ვა?“; „ახლა ა. ბ-ის გავლენით ჩ-ვამ რკინის მაგიდა გააკეთა, ეზოში დადგა, ვითომ თამაშობენ, ახალქუნებენ ფიგურებს, ბალკონში დაჯდომა არ შეიძლება! მისი სიძეც დიდ მონანილეობას ღებულობს ამ ბარატულ თამაშში და, ამავე დროს, ძმაც“; „ვერ აიშენებს კოოპერატიულ ბინას? მაგრამ უფასოდ უნდა! სოფელში ორსართულიანი სახლი აქვს. თუ არ ყოფნნს, იქ ნავიდეს! ა. ბ-ია ხომ სოფლად გაიზარდა, ცხოველებში“. „სკამებს აკრეჭინებენ, რომ გაიგებენ სახლში ვარ, სკამებით დადიან სამზარეულოში. ეს კრეჭინი ნერვიულ სისტემაზე მოქმედებს“

— ასეთია ნ. ქათამაძის პრტენზიები. მისგან შეწუხებული მეზობელი კი ასე განმარტავს ნ. ქათამაძის მიერ შეთხზულ ერთერთ, მორიგ ცილისწამებას: „ახალი წლისათვის მოქ. ქათამაძეს, რომელიც ცხოვრობს მეორე სართულზე, ხანძარი გაუჩნდა ეზოში ნასროლი შუშხუნით. მე პირადად ჩავაქრე ცეცხლი. იგი დიდი არ ყოფილა, სულ ორი ვედრო წყალი დასჭირდა. მერე, რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი მოულოსაგან გავიგე, რომ ქათამაძე ბ-ის ამბოლეს ცეცხლის გაჩენას, რაც სინამდვილეს არ შეეფერება“.

ერთ-ერთ მეზობელს ქალბატონმა ნინამ ჯერ პირსახოცის ქურდობა დაადარალა, მერე კი — ერთი თეფ ხაშლამისა! ესეც არ აკმარა, აიკლო განათლებინ სამინისტრო საჩივრებით, თქვენი მასწავლებელი ქურდიოო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის ორჯონიკიძის პარტრაიკომი, რაიალმასკომი, პროკურატურა, შინაგან საქმეთა განყოფილება, სასამართლო, ამხანაგური სასამართლო, გაზეთი „თბილისის“ რედაქცია, მსუბუქი მრეწველობისა და განათლების სამინისტროები შეიწუხა, შეაჯერა. პალუნცინაებმა, შეთხზულმა ბრალდებებმა დასანეულა, დააავადა... თვითონ განმცხადებელი. „ამდენი ნერვულობით გული დამიზიანდა, ღამე ძილსაც არ მაცლიან. ნერვულობაზე ხშირად ვსვამ სარაჯიშვილის მიქსტურასო“, — ჩვენს ახლა და საჩივარს წამლის ორ რეცეპტსაც ურთავს.

— ნუ გვიჩივი, მეზობელო, ნუ გვაწუხებ, ცილს ნუ გეწამებ, ნურც შენ იშლი ნერვებს და ნურც ჩვენ გვიშლი — ეუბნებიან მის გვერდით მცხოვრები გატაჯნულ-გაბეზრებული მეზობლები, მისგან ათვალისწინებული დისახლისები, თვალში ამოღებული მოსამსახურენი, მაგრამ გაგიგონია?!

„მიუხედავად არა ერთი რჩევა-დარიგებისა, აგრძელებთ ცილისმამებელური საჩივრების წერას და მილიციის ორგანოების მოცდენს!“ — წერდა ნ. ქათამაძეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა ! ქვეგანყოფილების უფროსი. ხელწერილივე ჩამოართვეს შვილის, ალბერტ ქათამაძის თანდასწრებით, მაგრამ ისევ მიფრინავს ცილისმწამებლური საჩივრები კანდელაკის ქუჩის №3-დან და ისევ ისმის ნ. ქათამაძის მრისხანე შეძახილი: „დაიჭირეთ!“ „დასაჯეთ!“ „ჩამოართვითო!“... როდემდე?!

მეზობლეს მზის სხივზე აღრე ხედავს ადამიანი. მისი იმედი აქვს ჭირში, ლხინში და რა საწყენია, რომ ზოგიერთები ამ სიკეთეს არ თანაუგრძნობენ, არ აფასებენ, პირადი ინტერესებით, შურით, სიხარით ტალახში სვრიან ძვირფასს, საჭიროსა და აუცილებელ გრძნობას მეზობლობისას. მათ გასაგონად კვლავ მინდა ვთქვა,:

ხარბი ხარ და ეჭვებით ხარ
შეეჯარონილი,
ყველაფერი თავდაყირა
გეჩვენება!..
მეზობელი რომ არ გაკვიდეს,
მეზობელო,
თვითონ მითხარ, აბა, შენ რა
გაშველება?!

ვ. კახელიშვილი

— რა სიწყნარეა! შერიგდნენ მეზობლები?

— არ შერიგებულან! ორიდან ოთხამდე მესვენება აქვთ!..

ნახეს&rlaquo;არგანცხადება

ნახეს&rlaquo;ვარ ი თ ვ ი ს წინათ ვაჟა-შუაველას გამზირის მეორე ნახევარში ნახევრად გაიხსნა ახალგაბენერინებულთა ნახევარმომსახურების ნახევრამაღაზია „ნ ა ხ ე ვ ა ს ა ბ ე ნ ი ე რ ო“, სადაც ნახევრად ნაბეღნიერებ და განახევრებულ ნახევრად ნახევრებს ნახევარ ფასში მეპირველ და მეორე ნახევრებს შეიძინონ ადგილობრივი უძლიერეს სანახევროდ ნახევარ ფასში ნარმოების ნახევრად წუნდებული ნახევარფაბრიკატები!



— ხომ მოხსნეს ჩვენი ლუდვიბი?! მაინც მუშაობს?

— მოხსნიო კი მოხსნეს, მაგრამ კარებში ვერ მაამატიეს და დატოვეს!

ღუდის ქაფისა და ქაბაბის ქება

ლუდია დიდად შესარგი, ქაფი ლუდისა — ფულია,
რასაცა ქაფავ — შენია, რას არა — დაკარგულია!

წყალწყალა ლუდი მით უფრო ფუფლადა დაიდვარებინ!
ლუდი უხმარ არს უქაფოდ. ქაფ უკეთ მოიხმარებინ!

პურიც თუ პურად გაუიდე, ვერ დაგეტყობა დაბაბი! —
აზლეკ, ცხიმში შებარაენ, ფორმაცა ჰქონდეს ქაბაბის!

წვენიც მოახხი წყალწყალა, მწვანილითან მორთე ლამაზად!
წყალქაფა ლუდს და ქაბაბსა მანეთი მოაქეს აბაზად!

იმედი ჯაბუა

— რა იყო?! რა მოგიკვიდა?! ვის ეშალება?!

— რამ ამომიყვანა ამ ავტობუსში?!.. ცოტა ძარღვნიც გაიწიე, ვეტყვი!

— ვერ გავიწევი! კარგად ვდგავარ! შეც ეეშალებან!..

— შენ ვის ეშალება?!

— ბავშვებისთვის განუოვნილ ადგილზე რომ ზის, ამას!

— მე კიდევ, შენს უკან, ნახთა რომ უფროსავს!.. ამან მაჩუქა ამას წინათ ნაგზნ!..

— არ დაგიწყია კითხვა?

— საერთოდ არ გადამიშლია. არ მეცალა. ორი კვირაა, რაც მაჩუქა.

— მე, თვეზე მეტია, ოჯახიშენებულმა რაც გამამგებლიერა. შესაკალი გადაეკითხე. რიგორც იქნა.

— შენ კარგად ბქონია საქმე! უცბად რომ შეგეფუთოს, რაღაცას მაინც მაან-მოაპან!

— აფსუს, რა დროს არ შემიძლია განძრევა?!

— რა იყო?!

— უკანა სალონში

— კატეგორიული უფროსო! თქვენს დანაზეპზე გამამხანდზდ, ეს ტრფრაბი კოლეეფარეობის საწყოობაში რომ უნდა მიმეტანა!..



ერ გაინძრა!

ვხედავ ერთს, რამდენი ხანია, წიგნი ვაჩუქე გადასალიც არა აქვს. ამას წინათ გამეცა ქუჩაში...

— ტკრ, შენც ნუ წაიკითხავ მის წიგნებს!

— რაღა დროსაა!..

— რა მაგის პასუხია და, ნემი ბოლო წიგნი თუ წაიკითხე?

— რომელი, მინერალოგიაზე?

— არა, სულთა კოსმოგონიაზე!

— სინდოს გეფიცები, მთელი კვირა დაკავებული ვიყავი, კარგად მინდა ჩავუკვდე. შენ რა ჰქენი, ჩემი წიგნის კითხვა დაიწყე?

— ორშაბათიდან ღიუიწყე აუცილებლად!

— ვეელდის წიგნი თუ წაიკითხე?! თუმცა, როგორ უნდა წაგეკითხა, ეროი კვირა, რაც კარუქ!

— მენ თუ წაიკითხე მგელიკას წიგნი?

— ვერ მოვიცალე, ეს ოხერი! ასკალონის წიგნის კითხვა დავიწყე რაღაც ეშმაკად დ...

— რა?! ეს ასკალონის?

— ჩეენი ასკალონ?, ეკოგრაფიის მასწავლებელი ჯოხი რომ გაგაკეტრია თავზე.

— რაგორ იკითხავ?

— როგორც უნდა! აკითხებოდეს! სხვისი წიგნი ვიკითხო, თუ ჩემი ეწერო?

— მე ამ გაჩერებაზე უნდა ჩავსულიყავი!..

— მე კიდევ, რამდენი ხანია, ჩემს გაჩერებას ვაკვდეხ!..

— არ გაინძრე! დაგინახავს!

— ფიქრი ნუ გაქვს!..

**ნო



პირველი ჯგუფის ინვალიდები

ნიანგის ჭოპონიმიკური ლექსიკონი

ვერე — მდინარე თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და... კანალიზაციის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა — ზაფხულსა და ზამთარში; წყალწითლობა, წყალყვითლობა და წყალშავობა — იმისდა მიხედვით, რა ფერის საღებავებს ჩაუშვებენ შიგ **ბაგების ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის მესვეურები.**

მთავარი შენაკადებია: ლასტისციხისხევი, ვენახევისხევი, ბეთანიის წყალი (ინტერნატის კანალიზაციითურთ), წყნეთის, ბაგების, ვაკისა და საბურთალოს კანალიზაციები.

ადრე გამოიყენებოდა სასმელად სარწყავად, საბანაოდ, სათევზაოდ. ახლა გამოიყენება სანაგვედ. ვერეს ნაპირებზე ვირთხებიც და კოღოებიც შესანიშნავად გრძნობენ თავს.

გაბინძურებული **ვერე** თბილისის ფარგლებში ერთვის მასსავით გაბინძურებულ **მტკვარს.**

ლექსიკოგრაფი ნ. იოსებიძე

ეპოლოგიური ფრაზები

● **ბუნებაში** არაფერი არ ქრება... თვით ბუნების გარდა.

● **მოვა** დრო და ადამიანი დაიწყებს ოაზისების მოსპობას, რათა უდაბნოს ნაგლეჯი მაინც შეინარჩუნოს.

● **შეიძლება** თუ არა ავდარი ჩავთვალოთ კარგ ამინდად, თუ იგი სწორად არის წინასწარნამეტყველები?

● **თუ** საკუთარ თავში მხეცის მოკვლას მოინდომებ, კარგად შეამოწმე, ხომ არ არის იგი შეტანილი „წითელ წიგნში“.

„ლიტერატურნაია გაზეტა“

გიზო ზარნაძე

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1979 წ., 31 აგვისტო, პარასკევი.

ბავშვობაში პარასკეობით იყო ხოლმე ჩვენში ბაზრობა (უცნობი ჟურნალისტი, ეტყობა, ლიხსგადაღმელია. რედ.). კახელი სტუმარი მეწვია და ბაზარში წავედი თუშური ყველისათვის. ძველი კურსით 100 მანეთი დამიფასეს კილო გუდის ყველი. გამბურძგნა ტანში და თევზის გამყიდველს გულის მოსაოხებლად შევჩივლე, რა მამასისხლად ყიდიან-მეთქი! გგონია, რო ყველა კერძო ყველია, — მეუბნება მეთევზე, რომელსაც დახლზე უწყვია: მოივა შეყინული, მოივა შებოლილი და მოივა დაკონსერვებული. აბა, მაღაზიის ყველია-მეთქი?! — გავიოცე. არა, პირდაპირ ფერმიდან გამოაქვთ „ლევად“, საკოლმეურნეო ბაზარზე კილოს ათ მანეთად ყიდიან, ხუთს თვითონ იტოვებენ, სამს ფერმაში იჯიბავენ, ორს კიდევ მთავრობას უნაღდებენ. აგერ სამი წელიაო.

თუ მართლა ასეა, ეს კაცი თევზს კი არ უნდა ყიდდეს, პროკურატურაში უნდა ეჯდეთ გამომძიებლად!

1979 წ., 16 სექტ.

მართალია, ტყის დღეა, მაგრამ შინ დავჯექი და კითხვას მივყევი ხელი. ერთ გაზეთში ერთ კრიტიკოსს ერთ მწერალზე (საკმაოდ ცნობილზე!) ერთი სტატია გაეშანშალებინა. ისეთი საოცარი აბდაუბდა იშვიათია, ალბათ, ბუნებაში. კრიტიკოსი წერს: **„რომანის ლაბირინთებში სულის ამოთქმის საშუალებას ველარც ის ერთადერთი, მაგრამ ამავე დროს, პრაქტიკულ მნიშვნელობას უდაოდ მოკლებული თითქმის ჰიპერგროფირებული გრძნობის მაგარებელი დადებითი გმირი იძლევა, რომელიც თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს იმ მოთხოვნილებათა (მხატვრული აქსესუარების თავისებურებათა) გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც, შესაძლოა კიდევაც გვაგონებდნენ ბალღობიდანვე ჩვენთვის კარგად ნაცნობი ივანე კარამაზოვის მხატვრულად სრულქმნილ სახეს, მაგრამ მაინც...“**

ამ გაზეთს, მკითხველის გარდა, არც რედაქტორი ჰყავს, არც ლიტმუშაკი და არც კორექტორი?!...

რედაქციისაგან: სხვათა შორის, მეგობრებო, პუბლიკაციის ავტორს კიდევ ერთი ბარათი მიუღია. მართალია, კვლავ ხელმოუწერელი, მაგრამ უდავოდ პატიოსანი მოქალაქის (ამჯერად დიასახლისის) გამოგზავნილი. აი ისიც:

„ულრმესად პატივცემულო ამხანაგო!!!

წარმოუდგენლად დიდ საქმეს აკეთებთ იმ უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერების გამოქვეყნებით. ზოგიერთ, უკაცრავად პასუხია, ხელმრუდე ლიტერატორს შეეძლო ეს ჩანაწერები თავისად გაესაღებინა. მაპატიეთ, რასაკვირველია!

დიახ, იცოდეთ, რომ, როგორც, მე, ასევე ჩემი დიდი. მრავალშვილიანი ოჯახის თითოეული წევრი, აღშფოთებას ვერ ვმალავდით, როდესაც მეათე ნომერ „ნიანგში“ ვინღაც დეგენერატ ჩაჩიბერიძის მიერ თქვენდამი გამოგზავნილ წერილს ვკითხულობდით. მაინც როგორ გაგიბედათ ისეთი შეურაცხმყოფელი წერილის მოწერა იმ ჩარჩმა და ფულის მუსუსმა, იმ სინდის-ნამუსზე ხელაღებულმა, იმან! სხვათა შორის მჯერა, რომ იგი ასეთ ბილწ ქმედობას ვერ შემოგთავაზებდათ, ყველა ჩვენგანი რომ მოწოდების სიმაღლეზე ვიდგეთ! რაღა საკვირველია, თქვენ არ მყავხართ მხედველობაში.

არც ერთი კაპიკი არავისგან — აი დევიზი, რომელსაც სადღეისოდ ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა იცავდეს!

ჩემი და ჩემი დიდი, მრავალშვილიანი ოჯახის თითოეული წევრის სახელით ულრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ ნაძირალას წერილის გამომზეურებისათვის! დაე, ყველამ იცოდეს, ვინცაა ჩაჩიბერიძე!!!

იცოცხლეთ და იბედნიერეთ! გისურვებდით, კვლავაც მრავალი და მრავალი არაწმინდა გამოგემზეურებინოთ. თუ, რასაკვირველია, თქვენს გადაბირებას შეეცდებიან ისეთი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი საშუალებით, როგორიც არის ფულადი ქრთამი!

ყველა არამზადამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს რომ ჩვენ აღარ ვხუმრობთ! აქ მხოლოდ წერილის ავტორი იგულისხმება, რასაკვირველია!! (რედ.).

უსიტყვოდ



ღლევანდელი მხურვალე ივლისი

ქალი იყო თვრამეტის, კაცი — ოცდათექვსმეტის. ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს. არა თუ არ იცნობდნენ, იმ დღემდე ერთმანეთის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მაგრამ ბედის სამოსელში გამოწყობილმა განგებამ მათი გაცნობა და დაახლოება ინება...

შეთხელებულ-შეთეთრებული თმების მიუხედავად, კაცი ჯერ კიდევ პერსპექტიულ სასიძოდ ითვლებოდა ქალაქის პირველად გასათხოვარ ქალთა ოჯახებშიც კი.

ოჯახისერთა ქალი ბუნებას მზრუნველი დედით და ფულიანი მამით დაეჯილდოებინა. ზაფხულის მოსვლამ ფართო ცისფერ თვალებში ადვილად შესამჩნევი სევდა ჩაუსახლა. ბოლო დროს იშვიათად გაიცინებდა ხოლმე. ცხადი იყო — 18 წლის ქალს თავისი ასაკის შესაფერი საფიქრალი გასჩენოდა. 18 წელი!.. ისე, ჩვენც გამოგვიცდია, მაგრამ მაინც არ ვეთანხმებით პოეტს, რომ ამბობს, ცხოვრებაში ერთხელ დგება 18 წელიო! გეგონება 19 დგებოდეს ორჯერ!

ივლისის ერთ საღამოს ქალმა დარდი გაუმხილა დედას: ერთი კაცის გაცნობა და მასთან დაახლოება მსურს, თანაც სასწრაფოდო.

დედამ ჩუმად ამოიოხრა... არადა, რას გაიხარებს მთელი ოჯახი, ეს საქმე რომ გამოვიდეს? ერთ კვირას არ აშლიან სუფრას!..

არა, ჩემი შვილი ნამდვილად ღირსია, ოღონდ იმ კაცმა არ თქვას უარი! დედა ენაცვალოს, აგერ უკვე 18 წლისაა და ერთი ღერი სიგარეტი არ მოუწევია, სხვებივით არც არაყ-კონიაკზე გიჟ--დება მაინცდამაინც!..

მივალ, კაცის დედას მოველაპარაკები, ავუხსნი როგორ იტანჯება ჩემი ერთადერთი ქალიშვილი, ვთხოვ, გამიგებს... ვეფხვის თუ დათვის დედამ გაუგო მოყმის დედას და... მით უმეტეს, რომ ერთი რაიონიდან ვართ და საერთო ნაცნობებიც ბევრი გვყავს...

დედამ შვილი დაამშვიდა და იმ კაცის სახლისაკენ გაემართა. გული გამალებით უცემდა...

ვაჟის დედამ ყურადღებით მოუსმინა.

— მე შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, — უთხრა მან, ვიდრე მისი შვილი მეორე ოთახიდან გამოვიდოდა, — ყველაფერი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ძალას ვერ დავატან, დღევანდელი ახალგაზრდები ისედაც დამოუკიდებლები არიან და იმ საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ მათ ეხებათ, არავის ყურს არ უგდებენ! არადა, ვერც გაამტყუნებს კაცი: თუ ყველაფერი კარგად დაბოლოვდა, ხომ კარგი, თუ არადა არავინ იცის რა მოგველის! ნერვების აშლა და პანაშვიდობია არ გამოგველევა და, ბოლოს, რას იტყვის საზოგადოება? ათასნაირ კუდებს გამოაბამენ, ასეო და ისეო. თქვენს ახალგაზრდა ქალსაც, მოგეხსენებათ, დიდი დაღი დააჩნდება, 18 წლის ასაკში დაკოდილი გული ვინ იცის, როდის გამრთელდება?! — ქალური ლოგიკა ზეიმობდა.

ვაჟმაც ყურადღებით მოუსმინა ქალის დედას. ცოტა უხერხულობას კი გრძნობდა: ასეთ სიტუაციაში პირველად აღმოჩნდა. „რა ლამაზია და როგორ კარგადაა შენახული! ეტყობა, ყურადღებით უვლის თავს. ვინ იტყვის, რომ მას გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავს?“ — ვაჟმა ახლა შეამჩნია, რომ ზედიზედ მეორე სიგარეტი დაიყვანა ყუაზე. ბოლოს თითები ნერვულად აათამაშა მაგიდაზე. იქნებ ესეც ჩემი ბედიაო, — გაიფიქრა და... დათანხმდა.

— ოღონდ თქვენ არ გეწყინოთ და ცალკე უნდა შევხვდე თქვენს ქალიშვილს, საბოლოო სიტყვასაც იმას ვეტყვი, სანამ ჯერ არაფერი მომხდარა, არ მინდა ვინმემ ერთად დაგვინახოს! — და საპაემნოდ ისეთი უკაცური და დაბურული ადგილი დაუნიშნა, ქალის დედას გული გადაუქანდა...

მაშ, კაცი დათანხმდა!.. დათანხმდა და იგი ხვალ შეხვდება მას, თანაც მარტოდმარტო!

დაღამდა თუ არა, ქალი შეხვედრის ადგილისაკენ გაეშურა, გულს ბაგბუგი გაჰქონდა. ჩაბნელებულ ხეივანში რომ შევიდა, ცოტა შეშინდა კიდეც, მაგრამ თავს ძალა დაატანა. „საშიში არაფერია!“ — გაიფიქრა მან, — „ვაჟა ხომ აქვე, ხეივნის ბოლოს მელოდება?!“

ვაჟმა ნაძვის ტოტებით დაბურულ სკამზე მიუთითა, ჩამოვჯდეთო. მის ხმაში მამრის სიმტკიცე იგრძნობოდა და ქალიც უსიტყვოდ დაემორჩილა...

უხერხული დუმილი ჩამოვარდა, კაცმა სიგარეტი ამოიღო და თავისდაუნებურად (იქნებ გამოსაცდელადაც) ქალსაც გაუწოდა.

— რას ბრძანებთ?! არ ვეწევი! — გაღიმება სცადა ქალმა.

ვაჟს მოეწონა ქალის პასუხი და უფრო ახლო მიიწია მისკენ. ქალმა უკვე ვაჟის ცხელი სუნთქვა იგრძნო ლოყაზე...

— იცით რა? მე ბევრი ვიფიქრე დედათქვენის წასვლის შემდეგ, — ვაჟის ხმას ოდნავი კანკალი დაეტყო, — და გადავწყვიტე... დიახ... მე თანახმა ვარ!!.. — იგი სწრაფად დაიხარა ქალისაკენ და რბილი, ხავერდოვანი ხმით ჩასჩურჩულა: — დიახ, თანახმა ვარ და ენდეთ ჩემს კაცურ სიტყვას, არ გიღალატებთ!..

ქალმა სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა! როგორც იქნა, ეღირსა, ეღირსა ნანატრ სიტყვებს!.. უცებ მოუნდა, წამომხტარიყო და ხმამაღლა ეყვირა, თუ რა ბედნიერი იყო, ისიც კი გაიფიქრა, გადახვეოდა, გულში ჩაკვროდა კაცს, რომელმაც გაუგო მას და მზადაა მის გასაბედნიერებლად...

— დიახ, — განაგრძო კაცმა, — წარმოიდგინეთ, თითქოს სტუდბილეთი ჯიბეში გედოთ, ოღონდ ხუთი ათასი მანეთია საჭირო თითო საგანში! მე მგონია, ძვირი არ უნდა იყოს! თქვენ რას იტყვით?

ქალმა ნეტარებით დახუჭა თვალები — ასეთ თბილისურ საღამოს ზოგჯერ უფრო მეტი ფასი აქვს!..

თეიმურაზ გრძელიძე

„ნიანგის“ განმარტება

ჩვენი ჟურნალის 1980 წლის მე-17 ნომერში გამოქვეყნებულ ნიკო კეცხოველის კრიტიკულ ჩანახატებს — **„მთასა და ბარში მოხეტიალის რვეულიდან“** — უნდა ეწეროს თარიღი — **1971 წელი.**

679
30.X
80

7-80-

ნახ. ლ. ნასიროვისა

მოსამართავი თოჯინები და ძია სემის ერთი ოქროს გასალები

(„კროკოდილი")

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

სანიმუშო სერვისი

ეს ამბავი ივლისის ბოლოს მოხდა. „ნიუ-იორკის ორგანიზებული მეძავების" პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ აირის დე ლა კრუზმა ნიუ-იორკის „ზნების პოლიციიდან" შეკითხვა მიიღო:

„ამ ბოლო დროს ვამჩნევთ, რომ ქუჩებში იმატა „ქალიშვილების" რიცხვმა და ბევრი მათგანი ჩვენთვის უცნობია. რაშია საქმე?"

დე ლა კრუზმა უპასუხა: „11 აგვისტოს იწყება დემოკრატთა ყრილობა. ამასთან დაკავშირებით „ქალიშვილებმაც" არ დააყოვნეს ჩამოსვლა. ჩვენ მათთან კონტაქტი დავამყარეთ და შევთანხმდით, რომ პარტიული ყრილობის დროს ჩვენს ფასებს 40 პროცენტით გავზრდით. ორივე პარტიის პოლიტიკური მოღვაწენი არა მარტო უაღრესი ვნებიანობით, ხელგაშლილობითაც გამოირჩევიან".

„კი მაგრამ, საიდან ჩამოვიდნენ „ქალიშვილები?" — დაინტერესდა პოლიცია.

„რესპუბლიკელთა პარტიის ყრილობიდან!". — იყო პასუხი.

„ნოვოე ვრემია"

ეროვნული ბიბლიოთეკა

80-67

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი"

№ 19 (1581) ოქტომბერი

გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

●

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბაბუა ამირეჯიბი
ნოდარ ბართაია
ბორის გურგულია
ნოდარ დუმბაძე
რევაზ თვარაძე
ჯემალ ლოლუა
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი)

ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ალექსანდრე სამსონია
გიგლა ფირცხალავა
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წივწივაძე
ვაჟა ბანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)

ნაფი ჯუსოითი

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუსალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
2. 09. 80 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
21. 10. 80 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7

●

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 2282. უე 00713.
შეკვეთა № 2383. უე 00725.
ჟურნალი გამოდის
ოცეში ორჯერ.

რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხა-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მემან-
ქანის — 99-76-69.

●

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი

ინდექსი 76137